

ეროვნული წარატივი თანამედროვე რომანში  
(ო.ჭილაძის *ყოველმან ჩემმან მპოვნელმან* და ე.ე. შმიტის *ულისე*  
ბაღდადიდან მიხედვით)

ნინო კილასონია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე  
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბელა წიფურია, დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო კილასონია

06.07.2015

## აბსტრაქტი

**წინაპირობა:** ნაშრომის თემატიკას წარმოადგენს ეროვნული ნარატივის ფორმირების პრინციპების გამოვლენა თანამედროვე რომანში. გაანალიზებული იქნება რომანები: ოთარ ჭილაძის ყოველმან ჩემმან მპოვნელმან და ერიკ-ემანუელ შმიტის ულისე ბაღდადიდან.

**მეთოდოლოგია:** დასმულ ამოცანაზე მუშაობა წარიმართა შედარებითი კვლევის მეთოდით, ნაციონალური იდენტობის თანამედროვე თეორიებზე დაყრდნობით.

**შედეგები:** აღნიშნულმა კვლევამ ცხადყო, რომ ეროვნული თვითშეგნების პრობლემა ჩვენ მიერ ნაკვლევ ტექსტებში მკვეთრად არის განპირობებული იმ მიზეზებით, რომლებიც მის განსხვავებულად გააზრებას იწვევს. ტექსტები ცხადყოფენ იმ პრობლემატიკას, რასაც იწვევს ეროვნული ნარატივის ავთენტურობის დაკარგვა, ინდივიდუალური და ნაციონალური იდენტობების კონფლიქტი.

**დასკვნა:** ნაციონალური გარემო ყალიბდება ისტორიული ფაქტებისა და ერთა შორის ურთიერთობის საფუძველზე. კოლონიზატორული რეჟიმი ან შიდა დიქტატურა, რომელიც ამა თუ იმ გარემოში მეფობს, განაპირობებს აქ მცხოვრები ინდივიდების ბედს. ეს უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ამ სივრცეში აქტიურია სხვა კულტურის კოდი და იგნორირებულია ეროვნული, ეროვნული კოდის გარეშე კი ინდივიდი ვერ ახდენს თავის იდენტიფიკაციას არსებულ გარემოსთან. ეროვნული მონათხრობები კვებავენ ინდივიდის ეროვნულ შეგრძნებებს და ბადებენ მასში სიყვარულისა და ლოიალობის გრძნობას. ერი, რომელშიც ეროვნული ნარატივი ვერ ფუნქციონირებს, ინფორმაციული წყაროებით ვერ კვებავს თავის მომავალ თაობებს, მათი მხრიდან მხოლოდ მიუღებლობას და უარყოფას იღებს. როცა რეალური სივრცე მოწყვეტილია ადამიანის წარმოსახვას, ინდივიდი ამ სივრცის გარეთ რჩება. სივრცის გარეთ კი ის ან თვითრეალიზებულია ან განადგურებული როგორც პიროვნება.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ეროვნული ნარატივი, ჭილაძე, შმიტი

## Abstract

**Precondition:** Subject-matter of the Master work is a reflection of a national narrative of the novels *Each Who will Find Me* by Otar Chiladze and *Ulisses from Baghdad* by E.E. Shmitt.

**Methodology:** We have used the method of the comparative analysis and theoretical approaches developed within the field of Identity Studies.

**Results:** Scientific research shows that we have studied problems of a national identity and causes and reasons of its different perceptions. Texts reflect problems of persons (characters) who has been detached from their native countries and environment.

**Conclusion:** People lose their national identity, when their existence tears away from reality and their motherland(s) cannot keep and save them, the native country is not a shelter and persons have to leave it and try to find „another Eden” - „something native. They may be perished as an individuals, or be successful in obtaining their new personal identity.

**Key Words:** National Narrative, Chiladze, Shmitt.

## მადლობა

ზემოაღნიშნული ნაშრომის მომზადებისას მუდმივ კონსულტაციებს მიწევდა ქ-ნი ბელა წიფურია, ის მიმითითებდა საკითხავ ლიტერატურას, მაძლევდა შენიშვნებს და მიჩვენებდა მათი გამოსწორების გზებს. გაწეული დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდით მას და ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც თავისი რჩევებით დამეხმარა ამ ნაშრომის მომზადებაში.